საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოდერძის უღელტეხილი

გოდერძის უღელტეხილი

გოდერძის უღელტეხილი, უღელტეხილი არსიანის ქედზე, მდ. ძინძისწყლის (ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 2025 მ. აგებულია ზედამიოცენური ვულკანოგენური დანალექი ქანებით, რ-ებიც შეიცავს განამარხებულ ფლორას (იხ. სტ. გოდერძის ნამარხი ტყე). გ. უ-ის კალთები ციცაბო და დანაწევრებულია. შემოსილია: ქვემოთ – ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით, ზემოთ – მეორეული სუბალპ. მდელოებით. გ. უ-ზე გადის ბათუმი – ახალციხის საავტ. გზა.

მ. უთმელიძე